პერცეფცია, როგორც ლანდშაფტის მეხუთე განზომილება და მისი მნიშვნელობა კულტურული ლანდშაფტების ესთეტიკური მოწყობის და მომსახურების საქმეში (თბილისის მაგალითზე)

<u>რობერტ მაღლაკლეიძე</u>, გიორგი მაღლაკელიძე

ელ.ფოსტა: robert.maghlakelidze@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

ლანდშაფტმცოდნეობაში სინამდვილის უმნიშვნელოვანესი სულიერი ათვისება – ესთეტიკური აღქმა, ხშირად იწოდება ლანდშაფტების პერცეფციად (ლათინურად perceptio – წარმოდგენა, აღქმა) და საერთოდ აღიარებულია, როგორც – ,,ლანდშაფტის მეხუთე განზომილება'' (ნ. ბერუჩაშვილი). ლანდშაფტების პერცეფციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მიმართულებები ლანდშაფტების ესთეტიკა, ლანდშაფტების დიზაინი და ლანდშაფტების არქიტექტურა.

თანამედროვე საუნივერსიტეტო გეოგრაფიულ ლიტერატურაში ,,ლანდშაფტმცოდნეობის'', ,,ანტროპოგენული ლანდშაფტმცოდნეობის'', ,,გეოეკოლოგიის'' და სხვ. კურსებში პრობლემები, რომლებიც ეხება ლანდშაფტურ ესთეტიკას, ლანდშაფტურ დიზაინს და ლანდშაფტურ არქიტექტურას, როგორც წესი არ განიხილება. ითვლება, რომ ისინი მოიაზრებიან სხვა მეცნიერებათა ან კიდევ ხელოვნების სფეროში. ამიტომ უნდა იყვნენ არქიტექტორების, დიზაინერების, მხატვრების, და არა გეოგრაფების გამგებლობაში.

თუმცა, ცნობილი გეოგრაფი, პროფესორი ფ.მილკოვი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60–იან წლებში წერდა, ლანდშაფტური არქიტექტურა, სოფლის მეურნეობის და სამედიცინო გეოგრაფიის მსგავსად გეოგრაფიულ ლანდშაფტმცოდნეობას ფართოდ უღებს კარს პრაქტიკაზე გასვლისათვის. ამ ორი მეცნიერების წამყვანი იდეების ურთიერთგაცნობა უდაოდ გაამდიდრებს, მათ თეორიას და პრაქტიკას . ასევე ცნობილი გეოგრაფინ პროფესორი ე. სმირნოვა თავის შრომაში ამახვილებდა ყურადღებას გეოგრაფების კადრების მომზადების შესახებ, რომლებიც ფლობენ კვლევის მეთოდებს არქიტექტურულ პრაქტიკაში.

ლანდშაფტური პერცეფციის, როგორც განზობილების შესწავლაზე და პერცეფციის საფუძველზე კულტურული ლანდშაფტების ესთეტიკური მოწყობის აუცილებლობაზე მიუთითებენ მეცნიერები ნ.ბერუჩაშვილი, ნ.ელიზბარაშვილი, დ.ნიკოლაიშვილი, გ.ისაჩენკო, ვ.ნიკოლაევი, მ. გროდზინსკი და სხვ.

ვფიქრობთ, მითითებული მეცნიერული მიმართულებების, პერცეფციის კანონების ღრმა გაცნობიერების გარეშე ბუნებრივი ლანდშაფტების ყოველმხრივი შესწავლა და მითუმეტეს კულტურული ლანდშაფტების დაგეგმარება და პროექტირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

მოხსენებაში განიხილება პერცეფცია, როგორც სუბიექტურ–ობიექტური ფილოსოფიური კატეგორია და სივრცესა და დროსთან ერთად ლანდშაფტის, როგორც ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ,,მეხუთე'' განზომილება. ასევე განიხილება პერცეფციის საფუძველზე კულტურული ლანდშაფტების ესთეტიკური მოწყობის, მართვის და მომსახურების ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული საკითხი დედაქალაქის მაგალითზე.